# სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

| | | | |
|---|---|---|---|
| მატჩი | ბათუმის „ბათუმი“ - სტეფანწმინდას „ყაზბეგი“ | | |
| გუნდი | სტეფანწმინდას „ყაზბეგი“ | შეჯიბრი | დიდი 10 |
| მატჩის თარიღი | 26/01/2024 | მატჩის ადგილი | ბათუმი |
| რეგულაცია | სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია. | | |

| დარღვევის აღწერა | | | |
|---|---|---|---|
| სტატუსი | მოთამაშე | დაბადების თარიღი | |
| სახელი, გვარი | ლევან ჭავჭავაძე | | |
| ☒მსაჯი<br>☐საითინგ კომისარი | მატჩის მსაჯი, საბა მახარაძე | დარღვევა | ☐ აღიარებულია ☒ უარყოფილია |
| დარღვევა | 9.13 მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მოწინააღმდეგე ადრე, გვიან ან სახიფათოდ. სახიფათო ბოჭვა მოიცავს (და არ არის ლიმიტირებული) ბოჭვას ან ბოჭვის მცდელობას მხრების ხაზს მაღლა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბოჭვა იწყება მხრების ხაზს დაბლა | ☒ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☐ სხვა<br>თუ „სხვა“ აღწერეთ : | |

| განხილვის დეტალები | | | |
|---|---|---|---|
| განხილვის თარიღი | 30/01/2024 | განხილვის ადგილი | სრკ-ს ოფისი |
| თავმჯდომარე | მირიან თავზარაშვილი | | |
| სადისციპლინო კომისიის წევრები | ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია | | |
| დამრღვევის დასწრება | ☒ კი ☐ არა | სხვა დამსწრეები :<br>☐ კი ☐ არა | |
| დამრღვევის წარმომადგენელი | | აღნიშნეთ ვინ | |
| განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები | მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი;<br>ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა; | | |

**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და დამხმარე მასალების ძირითადი ელემენტები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი;
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა #1;
3. დრონიდან გადაღებული ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა #2;
4. ბათუმის „ბათუმი“-ს ექიმის, პაატა ცინცაბაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

**დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება**

„ყაზბეგი“-ს მოთამაშემ, ლევან ჭავჭავაძემ აღიარა მისი მხრიდან 9.13 წესის დარღვევის ფაქტი თუმცა არ დაეთანხმა მსაჯის მიერ დარღვევის წითელი ბარათის ტოლფასად შეფასებას. მისი თქმით მოწინააღმდეგემ(„ბათუმი“-ს N6) მკვეთრად შეიცვალა მოძრაობის მიმართულება, რის გამოც მას აღარ დარჩა დრო მომზადებულიყო სწორი ბოჭვის შესასრულებლად. მისი არგუმენტის გასამყარებლად მან განაცხადა, რომ წარმოადგენდა ინციდენტის ამსახველ სხვა რაკუსით(დრონიდან) გადაღებულ ვიდეომასალას.

**ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა**

1. 26/01/2024 გაიმართა დიდი 10-ს XII ტურის მატჩი ბათუმის „ბათუმის“-სა და სტეფანწმინდას „ყაზბეგს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმის მიხედვით (ციტირება) – „თამაშის 15 წუთზე „ყაზბეგის“ 2 ნომერი შედის ბოჭვაში გამართული. არის თავით თავთან კონტაქტი, უხეში თამაში, რადგან დამცველი მუდმივად გამართულია. ბოჭვა ხდება მაღალ სისწრაფეზე და არის მაღალი სიმძიმის უხეშობა, რის გამოც დაისაჯა წითელი ბარათით. ორივე მოთამაშეს ჰქონდა ჭრილობა თვალის არეზე და დაშავებულს მოუწია მთელი თამაშით მოედნის დატოვება.“
3. ინციდენტის ამსახველი #1 ვიდეომასალის მიხედვით - თამაშის მე-15 წუთზე, „ბათუმი“-ს #6 საკუთარ 22 მეტრიან ზონაში იღებს პასს თანაგუნდელისგან(#9) და მიემართება მოწინააღმდეგეებისკენ. „ყაზბეგი“-ს #2 (ლევან ჭავჭავაძე) ბურთიან მოთამაშეს ბოჭავს გამართული, რის გამოც მოხდა მოთამაშეების თავით თავში კონტაქტი. კონტაქტის შედეგად „ბათუმი“-ს #6-მა ტრავმის(სისხლდენა) გამო ველარ გააგრძელა თამაში, ხოლო „ყაზბეგი“-ს #2 (ლევან ჭავჭავაძე) მსაჯმა წითელი ბართით გააძევა მოედნიდან.
4. „ყაზბეგი“-ს მხრიდან მოწოდებული ვიდეომასალის (#2) მიხედვით - „ბათუმი“-ს #6 ბურთის მიღებისას იმყოფება დაახლოვებით 5-6 მეტრში მოწინააღმდეგებისგან, ბურთის მიღებისთანავე იცვლის მიმართულებას და შედის კონტაქტში „ყაზბეგი“-ს #2 (ლევან ჭავჭავაძე)-თან, რომელიც სტატიკურ მდგომარეობაში გამართული ასრულებს ბოჭვას.
5. ბათუმის „ბათუმი“-ს ექიმის, პაატა ცინცაბაძის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - „ბათუმი“-ს #6-ს (გიორგი თხილაიშვილს) დაუმუშავეს შეჯახების შედეგად მიღებული ჭრილობა, მას არ აღენიშნებოდა ტვინის შერყევის რაიმე სიმპტომი, თუმცა მან არ მისცა

მოთამაშეს თამაშის გაგრძელების უფლება. დღეის მდგომარეობით, გიორგი თხილაიშვილი აგრძელებს ვარჯიშს(შეზღუდულად) და დიდი ალბათობით შეძლებს მომდევნო თამაშში მონაწილეობის მიღებას.

მსჯელობა

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის შემდეგ, იხელმძღვანელა სადისციპლინო განხილვებისთვის განსაზღვრული „თავთან კონტაქტის პროცესი"-ს მიხედვით და დაადგინა:

ა) იყო თუ არა თავთან კონტაქტი - **კი**.

ბ) დარღვევის სახე - **გაუფრთხილებელი/წინდაუხედავი**.

გ) თავში კონტაქტის აცილების შესაძლებლობა - **კი, დამრღვევს არ ჰქონია ბოჭვის დროს მოხრის მცდელობა. მას გააჩნდა საკმარისი დრო და მანძილი(5-6 მეტრი) ლეგალური ბოჭვისთვის მოსამზადებლად. შემტევი მოთამაშის მხრიდან, უშუალოდ კონტაქტის წინ, ადგილი არ ჰქონდა სიმაღლის და მოძრაობის მიმართულების მკვეთრ ცვლილებას.**

| გადაწყვეტილება | | | |
|---|---|---|---|
| **დარღვევის სტატუსი:** | ☒ **მიღებულია** | ☐ **უარყოფილია** | ☐ **სხვა (აღწერეთ)** |

| |
|---|
| **სანქციირების პროცედურა** |
| სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტით განსაზღვრული<br>**დარღვევის სიმძიმის შეფასება** |
| ☐ **შეგნებული/წინასწარ განზრახული** ☒ **წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი** |
| **დარღვევის სახის დადგენის საფუძველი** |
| ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა |
| **დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:** |
| საშუალო სიმძიმის |
| **მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):** |
| თავით თავში კონტაქტი |
| **ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:** |
| |
| **სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:** |
| |
| **მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):** |
| |
| **რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):** |
| დაშავებულმა მოთამაშემ ვეღარ გააგრძელა თამაში |
| **დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე** |
| |
| **დაშავებულის დაცულობის ხარისხი** |
| |
| **დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;** |
| |
| **შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;** |
| |

| |
|---|
| **დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.** |
| |

| **დარღვევის ხარისხის შეფასება.**<br>**სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით** |
|---|
| ქვედა ზღვარი კვირა. **შუა ზღვარი 6(ექვსი) კვირა** ზედა ზღვარი კვირა* |

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

| **ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:** |
|---|
| |

## შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

| **დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))** | **დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))** |
|---|---|
| სადისციპლინო სხდომაზე აღიარა დარღვევა და წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო. | სუფთა სადისციპლინო ისტორია |
| **მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))** | **ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))** |
| | სამაგალითო |
| **დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))** | **ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))** |
| | |

**დაკლებული კვირების რ-ბა: 3(სამი) კვირა/თამაში**

| |
|---|
| კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : დამრღვევის გულწრფელი აღიარების, სამაგალითო ქცევის და სუფთა სადისციპლინო ისტორიის გათვალისწინებით, სადისციპლინო კომისიამ მიიღო საწყისი სანქციის 50%-თ შემცირების გადაწყვეტილება. |

## შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

| **მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))** |
|---|
| |
| **დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ))** |
| |
| **ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))** |
| |

**დამატებითი კვირების რ-ბა: არა**

# სანქცია

- სანქცია მოიცავს წითელი ბარათით ან საითინგ კომისარის საითინგით შეყოვნებული(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.

| | | |
|---|---|---|
| დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)<br>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე) | 3 (სამი) კვირა/თამაში | ☐<br>წითელი ბარათი საკმარისია |
| დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი | 31/01/2024 | |
| დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.<br>დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები. | 25/02/2024 (დიდი 10-ს საშეჯიბრო ცხრილის მიხედვით) | |
| ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა.<br>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 9.4. ბ) | | |
| სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება | დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს დისკვალიფიკაციის პერიოდში ეკრძალება თამაშის დროს ნებისმიერი სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| თავმჯდომარე<br>ხელმოწერა | მირიან თავზარაშვილი | თარიღი | 31/01/2024 |

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]